

თავი 17**კაპიტალის აღრიცხვა – ტესტები**

- 1. ბიზნესის ერთპიროვნული მფლობელია:**
 - ა) ინდივიდუალური მეწარმე;
 - ბ) სპს-ს პარტნიორი;
 - გ) აქციონერი.
- 2. ამხანაგობის ტიპის საზოგადოების მიერ მიღებული მოგება ან ზარალი ნაწილდება კაპიტალის მონაწილეებზე:**
 - ა) მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად;
 - ბ) შეტანილი და შეუტანელი შესატანის პროპორციულად;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
- 3. ინდივიდუალური მეწარმე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს:**
 - ა) შეუზღუდავად, მხოლოდ საწარმოს ქონებით;
 - ბ) შეუზღუდავად მთელი თავის ქონებით;
 - გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- 4. სოლიდარულ პასუხისმგებლობის საზოგადოებაში:**
 - ა) შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება;
 - ბ) სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
- 5. თანხის გახარჯვა პარტნიორის მიერ შეიძლება მოხდეს:**
 - ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში
 - ბ) სააქციო საზოგადოებაში
 - გ) კომანდიტურ საზოგადოებაში
- 6. კომანდიტური საზოგადოების პარტნიორები შეიძლება იყოს:**
 - ა) მხოლოდ ფიზიკური პირები;
 - ბ) ფიზიკური და იურიდიული პირები;
 - გ) მხოლოდ იურიდიული პირები.
- 7. კომანდიტი პარტნიორი საზოგადოების ვალდებულებებისთვის პასუხს აგებს:**
 - ა) წესდებაში დაფიქსირებული საგარანტიო თანხით;
 - ბ) მთელი თავისი ქონებით;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
- 8. კოოპერატივი წარმოადგენს:**
 - ა) ამხანაგობის ტიპის საზოგადოებას;
 - ბ) ერთპიროვნული მფლობელის საკუთრებას;
 - გ) კორპორაციას.

9. კოოპერატივში, სანამ არ მიიღწევა ზარალის გამო შემცირებული პაის ოდენობა:
- ა) წევრები ახორციელებენ დამატებით შენატანებს;
 - ბ) არ ნაწილდება მოგება;
 - გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.
10. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებისას აუცილებელია:
- ა) კანონით განსაზღვრული კაპიტალის ოდენობის შევსება;
 - ბ) წესდებით განისაზღვროს საწესდებო კაპიტალი;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
11. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს:
- ა) დივიდენდის სახით შეუძლიათ გაინაწილონ მხოლოდ საწარმოს მოგება;
 - ბ) უფლება აქვთ გახარჯონ ინვესტირებული კაპიტალი;
 - გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.
12. სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია:
- ა) წილებად;
 - ბ) განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად;
 - გ) საპაიო შენატანებად.
13. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს:
- ა) დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით;
 - ბ) ხმის უფლებას;
 - გ) არცერთს.
14. აქციების დანაწევრება იწვევს:
- ა) ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვის ზრდას;
 - ბ) ბრუნვაში არსებული აქციების ღირებულების შემცირებას;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
15. სააქციო საზოგადოების მიერ აქციების უკან გამოსყიდვა შესაძლებელია:
- ა) საბაზრო ფასით;
 - ბ) სამართლიანი ღირებულებით;
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
16. რომელი მსჯელობაა სწორი:
- ა) არ შეიძლება აქციონერს მიეცეს სხვა საზღაური გარდა საზოგადოების დივიდენდებისა;
 - ბ) აქციონერს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე მიიღოს მისგან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს;
 - გ) ორივე მსჯელობა სწორია.
17. უკან გამოსყიდული აქციების ანგარიშზე, აქციები აღირიცხება:
- ა) ნომინალური ღირებულებით;
 - ბ) გამოსყიდვის ღირებულებით;
 - გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

18. დივიდენდი წარმოადგენს:

- ა) წმინდა მოგებას, რომელიც ნაწილდება პარტნიორებს შორის;
- ბ) საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორის ინვესტირებული კაპიტალის ანაზღაურებას;
- გ) ბალანსზე არსებული შესაბამისი აქტივის წყაროს.

19. დივიდენდის გადახდა შეიძლება მოხდეს:

- ა) ფულადი სახსრებით
- ბ) აქციებით ან სხვა აქტივების სახით
- გ) ორივე პასუხი სწორია

20. კაპიტალის რეზერვების აღრიცხვა ხდება:

- ა) ჯამურად;
- ბ) ინდივიდუალურად – მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

21. საკუთარი კაპიტალის არის:

- ა) საწარმოს მიერ მიღებული წმინდა მოგება დაარსებიდან დღემდე;
- ბ) საწარმოს აქტივების ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ;
- გ) პარტნიორთა მიერ ბიზნესში დაბანდებული თანხა.

22. აქციების შეფასება ხდება:

- ა) ნომინალური და საბაზრო ღირებულებით;
- ბ) გამოცხადებული და საბალანსო ღირებულებით;
- გ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდით.

23. გადაფასების რეზერვი არის:

- ა) საკუთარი კაპიტალის ნაწილი;
- ბ) გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი;
- გ) მოთხოვნების ნაწილი.

24. წმინდა მოგებიდან რეზერვის შექმნა ხელს უწყობს:

- ა) კაპიტალის ეროზიას;
- ბ) საწარმოს აქტივების ზრდას;
- გ) ვალდებულებების გაზრდას.

25. საემისიო კაპიტალი არის:

- ა) აქციების ნომინალზე მაღალ ფასად აქციათა გაყიდვით მიღებული თანხა;
- ბ) აქციების ნომინალური ღირებულებით გაყიდვით მიღებული თანხა;
- გ) მოგების განაწილების მერე დარჩენილი თანხა.

26. საწარმომ გამოუშვა 200.000 ცალი აქცია, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი. გარკვეული პერიოდის შემდეგ უკან გამოისყიდა 25.000 ცალი, თითოეული 2 ლარად. რამდენს შეადგენს საწარმოსათვის ბრუნვაში მყოფი აქციების რაოდენობა:

- ა) 200.000 ცალს;
- ბ) 250.000 ცალს;
- გ) 175.000 ცალს.

კაპიტალის აღრიცხვა – ამოცანები**სამარჯიშო №1**

ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება “გორდა” დააფუძნა 2 პარტნიორმა. კაპიტალი განისაზღვრა 80.000 ლარის ოდენობით. პირველმა პარტნიორმა ვეკუამ შენატანი განახორციელა საბანკო ანგარიშზე 40.000 ლარის ჩარიცხვით. მეორე პარტნიორმა ჩხაიძემ შეტანა განახორციელა შენობის სახით, რომლის ღირებულება განისაზღვრა 30.000 ლარის ოდენობით. ჩხაიძეს წარმოეშვა ვალდებულება საზოგადოებასთან 10.000 ლარის დაფარვაზე.

მოვთხოვბათ: ასახოთ ეს ოპერაცია ბუღალტრულად:

ბ) საზოგადოებამ საანგარიშო წლის ბოლოს მიიღო წმინდა მოგება 30.000 ლარის ოდენობით და მიღებული მოგება მიემატა პარტნიორების წილ კაპიტალს.

მოვთხოვბათ: ასახოთ ეს ოპერაცია ბუღალტრულად:

სამარჯიშო №2

სპს “გოლდი” დაფუძნებულია 3 პარტნიორის მიერ 20X1 წელს. დაფუძნებისას პარტნიორთა კაპიტალი განისაზღვრა 60.000 ლარის ოდენობით. შენატანები ასე განაწილდა: I პარტნიორმა შეიტანა 30.000, II – 20.000, III – 10.000. საანგარიშო წლის ბოლოს საზოგადოებამ მიიღო წმინდა მოგება 15.000 ლარის ოდენობით. მიღებული მოგება განაწილდა პარტნიორებზე. 20X2 წლის დასაწყისში მესამე პარტნიორმა გადაწყვიტა საზოგადოებიდან გასვლა. ამ მომენტიდან საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრა 75.000 ლარით.

მოვთხოვბათ:

ასახოთ ბუღალტრულად შემდეგი ოპერაციები:

- ა) მოგების მიღება
- ბ) მოგების განაწილება
- გ) პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა

სამარჯოშო №3

კომანდითური საზოგადოება “ვაშა” დაარსდა 20X1 წელს 2 პარტნიორის ჭედიდის და ფხაკადის მიერ. ჭედიდე კომპლემენტარია, ფხაკაძე კი კომანდიტი. საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრა 50.000 ლარით. პარტნიორმა ჭედიდემ შეტანა განახორციელა სალაროში ფულადი სახით 30.000 ლარის ოდენობით. კომანდიტმა ფხაკაძემ საგარანტიო თანხის სახით შეიტანა 20.000 ლარი. საანგარიშო წლის ბოლოს საზოგადოებამ მიიღო წმინდა მოგება 10.000 ლარის ოდენობით. კომანდიტმა ფხაკაძემ მოახდინა თავისი წილი მოგების გატანა, ხოლო კომპლემენტარმა ჭედიდემ გახარჯა კუთვნილი მოგება. 20X2 წელს საზოგადოებამ მიიღო ზარალი 6.000 ლარი. კომპლემენტარმა ჭედიდემ მიღებული მოგებიდან უკან დააბრუნა თავის წილი ზარალის თანხა.

მოგეთხოვებათ: ასახოთ ბუღალტრულად:

- ა) კაპიტალის შევსების ოპერაცია
- ბ) წმინდა მოგების მიღება 20X1 წლის ბოლოს
- გ) მიღებული მოგების განაწილება
- დ) მოგების ამოღება
- ე) ზარალის მიღება 20X2 წლის ბოლოს
- ვ) ზარალის განაწილება
- ზ) ზარალის დასაფარად ჭედიდის მიერ თანხის დაბრუნება

სამარჯიშო №4

კოოპერატივი “ვუთანი” დაარსდა 20X1 წელს 3 წევრის მიერ. პაი განისაზღვრა 60.000 ლარის ოდენობით. ერთი წევრი ფლობს ერთ პაის. პირველმა წევრმა თვედღორაძემ შენატანი განახორციელა სალაროში ფულადი სახით – 20.000 ლარი. მეორე წევრმა კეკუამ შეიტანა ინვენტარი, რომლის ღირებულება 25.000 ლარია. მესამე წევრმა ჯიქიამ შენატანი განახორციელა შენობის სახით ღირებულებით 30.000 ლარი. საანგარიშო წლის ბოლოს საზოგადოებამ მიიღო წმინდა მოგება 15.000 ლარი. საერთო კრებამ გადაწყვიტა, რომ მიღებული მოგება სრულად განაწილდეს. ამ დროისთვის შეტანილი პაი შეადგენს 75.000 ლარს.

მოგეთხოვებათ: ასახოთ ბუღალტრულად:

- ა) პაის შევსება
- ბ) მოგების მიღება წლის ბოლოს
- გ) მოგების განაწილება

სამარჯიშო №5

კოოპერატივი “შრომის” მიერ მიღებულმა წმინდა მოგებამ საანგარიშო წლის ბოლოს შეადგინა 150.000 ლარი. საერთო კრების მიერ გადაწყდა, რომ მიღებული მოგება სრულად იქნას გამოყენებული მიზნობრივი დანიშნულების რეზერვების შესაქმნელად. გაუნაწილებელი მოგებიდან შეიქმნა შემდეგი სახის რეზერვები:

- | | |
|---|--------------|
| ა) წარმოების განვითარების რეზერვი | 100.000 ლარი |
| ბ) თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირების რეზერვი | 50.000 ლარი |

მოგეთხოვებათ: ასახოთ ბუღალტრულად:

- ა) მოგების მიღება;
- ბ) რეზერვის შექმნა.

საპარჯიშო №6

შპს “ზეტა” დაფუძნებულია 2 პარტნიორის მიერ. პარტნიორები წილებს ფლობენ თანაბრად. საანგარიშო წლის ბოლოს მიიღო წმინდა მოგება 100.000 ლარის ოდენობით. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით 40.000 ლარი განაწილდა დივიდენდის სახით, ხოლო 60.000 ლარით შეიქმნა ტექნიკური გადაიარაღების რეზერვი.

მოგეთხოვებათ: ასახოთ ბუღალტრულად:

- ა) წმინდა მოგების მიღება
- ბ) მოგების განაწილება

საპარჯიშო №7

შპს “იმერის” დაფუძნებისას კაპიტალის სიდიდე განისაზღვრა 200.000 ლარის ოდენობით. შპს დაფუძნდა 4 პარტნიორის მიერ. თითო პარტნიორი ფლობს 25%-იან წილს.

პირველმა პარტნიორმა ვასაძემ კაპიტალში შენატანი განახორციელა ფულადი სახით – 50.000, მეორე პარტნიორმა პაპავამ შემოიტანა ძირითადი საშუალება, რომლის ღირებულება იყო 70.000 ლარი, მესამე პარტნიორმა აბაშიძემ შემოიტანა ავეჯი, ღირებულებით – 50.000 ლარი. მეოთხე პარტნიორი კახიძე თავის წილ შენატანს განახორციელებს 4 თვის შემდეგ.

მოგეთხოვებათ: ასახოთ ბუღალტრულად:

სამარჯიშო N8

კორპორაციამ გამოუშვა 12 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე 300.000 ჩვეულებრივი აქცია. აქციები გაიყიდა 15 ლარად. გადახდა მოხდა უნაღლო ანგარიშსწორებით.

მოგეთხოვებათ: ასახოთ ეს ოპერაცია ბუღალტრულად:

სამარჯიშო N9

კორპორაციამ აქციათა სანაცვლოდ მიიღო შენობა, რომლის საბაზრო ღირებულება 300.000 ლარია. გაცემულ იქნა 1.000 ცალი პრივილეგიური აქცია, რომელთა ნომინალური ღირებულება 250 ლარია.

მოგეთხოვებათ: ასახოთ ეს ოპერაცია ბუღალტრულად.

სამარჯიშო N10

სააქციო საზოგადოება "ლამა"-მ აპრილში ხელშეკრულება დადო ღვინის მწარმოებელ კომპანია "მელვინეობა"-სთან. კონტრაქტის პირობები ითვალისწინებს აქციების შესყიდვას ხელმოწერით. სს "ლამა" ვალდებულია კომპანია მელვინეობას გადასცეს 5.000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, რომლის ნომინალური ღირებულებაც 9 ლარია. "მელვინეობა" იღებს ვალდებულებას შეისყიდოს აქციები 10 ლარად. "მელვინეობა" აქციათა ღირებულების 20%-ს გადაიხდის 2 თვის შემდეგ ივლისში, ხოლო დანარჩენ თანხას სრულად დაფარავს სექტემბერში. გადახდა მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით.

მოგეთხოვებათ: ასახოთ ეს ოპერაცია ბუღალტრულად:

საპარჯიშო №11

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში კორპორაციას ბრუნვაში ჰქონდა 1.000.000 ცალი აქცია, რომელთა ნომინალური ღირებულება 8 ლარი იყო. ბირჟაზე აქციათა საბაზრო ფასის დაწევის მიზნით საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება აქციათა დანაწევრების შესახებ. გადაწყვეტილების საფუძველზე აქციები უნდა დაიყოს 4 ნაწილად.

მოგეთხოვებათ: გამოთვალეთ რამდენი იქნება ბრუნვაში მყოფი აქციები დანაწევრების შემდეგ და რა იქნება მათი ნომინალური ღირებულება.

საპარჯიშო №12

სააქციო საზოგადოებამ უკან გამოისყიდა 500 ცალი პრივილეგიური აქცია. მათი ნომინალური ღირებულება იყო 150 ლარი, გამოსყიდვის ღირებულებამ 100.000 ლარი შეადგინა თითოეული 200 ლარად. გადახდა მოხდა უნაღლო ანგარიშსწორებით. კორპორაციას საემისიო კაპიტალის ანგარიშზე ერიცხება 15 000 ლარი.

მოგეთხოვებათ:

ა) ავსახოთ გამოსყიდვის ოპერაცია ბუღალტრულად:

ბ) გამოსყიდული აქციებიდან 300 აქცია გაიყიდა 55.500 ლარად, ერთეული 185 ლარად: ავსახოთ აქციათა რეალიზაციის ოპერაცია:

გ) კორპორაციამ გამოსყიდული 200 აქცია გააუქმა:

სამარჯიშო №

სააქციო საზოგადოება „ალფა“-ს საკუთარ კაპიტალში წლის განმავლობაში მოხდა შემდეგი ცვლილებები:

1. საწარმომ გამოუშვა 2.000 აქცია და მათი რეალიზებიდან მიიღო 27.000 ლარი (1 აქციის ნომინალური ღირებულება 10 ლარი);
2. უკან გამოისყიდა 1.000 აქცია 12.000 ლარად;
3. მოახდინა ძირითადი საშუალებების აფასება 3.000 ლარით;
4. მოახდინა ინვესტიციების ჩამოფასება 1.500 ლარით;
5. წლის განმავლობაში მიიღო წმინდა მოგება 22.000 ლარი;
6. გაანაწილა დივიდენდი 16.000 ლარი.

მოვთხოვბათ:

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე მოახდინეთ საწარმოს საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.

**სააქციო საზოგადოება „ალფა“-ს საკუთარ კაპიტალში
ცვლილებების წლიური ანგარიშგება**

	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებ ული მოგება ზარალი	უკან გამოსყიდული აქციები	სულ
ნაშთი 2001 წლის 31 დეკემბრისათვის	50.000	25.000	18.000	107.000		200.000
ცვლილებები საარსებო პოლიტიკაში						
ნაშთი ცვლილებების შემდეგ						
ქონების გადაფასებით მიღებული ცვლილება						
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული ცვლილება						
წმინდა მოგების ცვლილება						
სააქციო კაპიტალის ცვლილება						
საემისიო კაპიტალის ცვლილება						
დივიდენდი						
უკან გამოსყიდული აქცია						
ნაშთი 2002 წლის 31 დეკემბრისათვის						